ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი აცხადებს სტაჟიორთა მიღებას

სსიპ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი აცხადებს სტაჟიორთა ახალი ნაკადის მიღებას. სტაჟიორთა შერჩევა კონკურსის წესით ხორციელდება.
სტაჟირების განმავლობაში საქართველოს ავტორიზებული და ავტორიზებულად ჩათვლილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სამივე საფეხურის (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა) სტუდენტები, ასევე, უმაღლესი განათლების მქონე პირები ცენტრის დეპარტამენტების, ლაბორატორიებისა და სამსახურების ყოველდღიურ საქმიანობაში სრულფასოვან მონაწილეობას მიიღებენ, გაიღრმავებენ პროფესიულ ცოდნას, შეიძენენ პრაქტიკული მუშაობის უნარ-ჩვევებს. სტაჟირების სრული კურსის გავლის შემდეგ კურსდამთავრებულებს ეძლევათ სერთიფიკატი.

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი აცხადებს სტაჟიორთა მიღებას შემდეგი სტრუქტურული ერთეულების მიხედვით:

დეპარტამენტი/სამსახური/ლაბორატორია	ვაკანსიების რაოდენობა	მოთხოვნები (სასურველია)
არქივთმცოდნეობის დეპარტამენტი	2	ისტორიის მიმართულება (ბაკალავრიატის სტუდენტი)
გამოფენის დეპარტამენტი	2	ჰუმანიტარული ფაკულტეტის მაგისტრატურის სტუდენტი სტაჟირების საათები დეპარტამენტში – კვირის მანძილზე არა ნაკლებ 15 საათი სასურველია ფლობდეს უცხო ენებს კარგად ფლობდეს Microsoft Office Word პროგრამას, სასურველია ფლობდეს Exel, Powerpoint, Adobe Photoshop უნდა ახასიათებდეს პასუხისმგებლობა, კომუნიკაბელურობა, იყოს მომღიმარი სასურველია ჰქონდეს გიდის გამოცდილება
ბიბლიოთეკის დეპარტამენტი	5	ჰუმანიტარული მიმართულება, სასურველია რუსული ენის ცოდნა
წყაროთმცოდნეობისა და დიპლომატიკის დეპარტამენტი	2	ისტორიის მიმართულება (ბაკალავრიატის ან მაგისტრატურის სტუდენტი, მაგისტრანტი), კომპიუტერული პროგრამის Access ცოდნა ან სწავლის უნარი

დიგიტალიზაციის ლაბორატორია	2	კომპიუტერული პროგრამის Photoshop ცოდნა და/ან სწავლის უნარი
განათლების დეპარტამენტი	3	განათლების მიმართულება, ჰუმანიტარული მიმართულება
საგამომცემლო სამსახური	2	ჰუმანიტარული მიმართულება (ქართული ფილოლოგია) უნდა ახასიათებდეს პასუხისმგებლობა, კომუნიკაბელურობა

სტაჟიორად მიიღება საქართველოს ავტორიზებული და ავტორიზებულად ჩათვლილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სამივე საფეხურის (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა) სტუდენტი, ასევე, უმაღლესი განათლების მქონე პირი (თუ მოთხოვნაში არ არის დაზუსტებული საფეხური).

სტაჟირების კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს:

- პირადი განცხადება ცენტრის დირექტორის სახელზე *(ჩამოსატვირთი ფორმა)*.;
- ავტობიოგრაფია, CV;
- პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
- კურსდამთავრებულისათვის დიპლომის ასლი ან ცნობა სამუშაო ადგილიდან; სტუდენტისათვის ცნობა უმაღლესი სასწავლებლიდან);
- ორი ფოტოსურათი (3x4).

საბუთები მიიღება 2013 წლის 11 თებერვლიდან 11 მარტის ჩათვლით სსიპ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის განათლების დეპარტამენტში.

საბუთების მიღების დასრულების შემდეგ კანდიდატებს მიეწოდებათ ინფორმაცია გასაუბრების კომისიის სხდომის თარიღის შესახებ.

ჩამოსატვირთი ფორმა.

დამატებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ:

მისამართი: მ. ალექსიძის 1/3
სსიპ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი
პროგრამის კოორდინატორი: განათლების დეპარტამენტი
ტელ.: (32) 2 47 42 42 (შიდა 106)
ელ.ფოსტა: edu@manuscript.ac.ge
www.manuscript.ge